სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№01-04/5 24-01-2019 წ.

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ

„სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 ივნისის №193 დადგენილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსი;
2. შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის მიმართულებები, პროექტის შეფასების კრიტერიუმები და კონკურსთან დაკავშირებული სხვა პირობები განსაზღვრულია „სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესი“-ს შესახებ აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 ივნისის №193 დადგენილებით;
3. გამოცხადდეს საგრანტო კონკურსის საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება 2019 წლის 11 თებერვლიდან 18 თებერვლის ჩათვლით (შაბათ-კვირის გარდა), 10^{00} სთ.-დან 16^{00} სთ.-მდე, მისამართზე: ქ. ქუთაისი, თამარ მეფის №59, აწსუ-ს I კორპუსი, აუდ. №1202. საკონკურსო დოკუმენტაციას სარეგისტრაციოდ წარადგენს მხოლოდ პროექტის ხელმძღვანელი.
4. საგრანტო დაფინანსების საერთო ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვროს 45 000 (ორმოცდახუთი ათასი) ლარის ოდენობით;
5. საპროექტო განაცხადის დოკუმენტაცია უნდა ჩაბარდეს როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით მყარ დისკზე (CD/DVD), რომელიც ელექტრონულად აიწყობა Word-ს დოკუმენტში, A4

ფორმატის ფურცლის ზომებში, არე მარცხნიდან - 3 სმ, ზევიდან - 2 სმ, ქვევიდან - 2 სმ და მარჯვნიდან - 2 სმ. ტექსტის სტრიქონებს შორის ინტერვალი 1.15 (Single), სათაურებსა და ტექსტს შორის, ცხრილებსა და ტექსტს შორის დასაშვებია უფრო მაღალი ინტერვალი; დოკუმენტის შრიფტი - Sylfaen, ზომა - 12;

6. პროექტების შეფასება შიდასაფაკულტეტო კომისიის მიერ განხორციელდეს 2019 წლის 20-21 თებერვლის ჩათვლით, ხოლო 2019 წლის 22 თებერვალს გამოცხადეს კონკურსის პირველი ეტაპის შედეგები;
7. კონკურსის პირველი ეტაპის შედეგების აპელაციის პერიოდად განისაზღვროს 2019 წლის 25-26 თებერვალი, ხოლო აპელაციის შედეგები გამოცხადდეს 28 თებერვალს. სააპელაციო განაცხადს წარადგენს და სააპელაციო განაცხადის განხილვაში მონაწილეობს მხოლოდ პროექტის ხელმძღვანელი.
8. კონკურსის პირველი ეტაპის საბოლოო შედეგების მიხედვით, დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროექტების შეფასება განხორციელდეს 2019 წლის 1-7 მარტს, ხოლო 2019 წლის 11 მარტს გამოცხადდეს კონკურსის მეორე ეტაპის შედეგები;
9. კონკურსის მეორე ეტაპის შედეგების აპელაციის პერიოდად განისაზღვროს 2019 წლის 13-14 მარტი. სააპელაციო განაცხადს წარადგენს და სააპელაციო განაცხადის განხილვაში მონაწილეობს მხოლოდ პროექტის ხელმძღვანელი.
10. კონკურსის საბოლოო შედეგები გამოცხადდეს 2019 წლის 18 მარტს;
11. გრანტის მიმღებთან ხელშეკრულების გაფორმება განხორციელდეს 2019 წლის 20 მარტიდან 27 მარტის ჩათვლით;
12. გამარჯვებული საგრანტო პეროექტ(ებ)ის განხორციელება დაიწყოს 2019 წლის 1 აპრილს;
13. კონკურსის შესახებ ინფორმაცია („სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესი", „პროექტის სააპლიკაციო ფორმა" და „პროექტის ბიუჯეტის ფორმა") გამოქვეყნდეს აწსუ-ს ვებგვერდზე (http://atsu.edu.ge) და უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე.
14. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი: **გიორგი ღავთაძე**

დეკანი: **აკაკი ბაკურაძე**